სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

29 ოქტ 2025

გადაწყვეტილება # 892025159816-07 (29.10.2025)

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ

განცხადების ნომერი: **892025159816** განცხადების მიღების თარიღი: **01.10.2025 13:01**

დაინტერესებული პირი: **შპს ემკვადრატის პარკი X (405543452)**

წარმომადგენელი: **ნატო ქიტიაშვილი (01017023486)**

უძრავი ნივთის მისამართი/საკადასტრო კოდი: **ქალაქი თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი, N 23, კორპუსი 10, 01.10.10.025.091**

მომსახურების სახე: **ექსპლუატაციაში მიღება (მრავალერთეულიანი ობიექტი)**

დ ა ს კ ვ ნ ა

1. შეჩერდეს სარეგისტრაციო წარმოება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21.1. .“ბ“, „გ“ და „ი“ მუხლის შესაბამისად.

2. წარმოსადგენია კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაცია. თუ, ექსპლუატაციაში მიღებული პროექტის მიხედვით რომელიმე რეგისტრირებული ფართი იცვლება (იყოფა, ერთიანდება, ნუმერაცია/სართული იცვლება, ან ფართი მცირდება) წარმოსადგენია პროექტთან შესაბამისობაში მყოფი განშლა და მესაკუთრეთა სათანადო წესით დამოწმებული თანხმობები.

3. 30 კალენდარული დღის ვადაში დამატებითი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდება.

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

1. განცხადებით მოთხოვნილია ექსპლუატაციაში მიღება (მრავალერთეულიანი ობიექტი).

2. მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ საქმეში არსებული ყველა დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესწავლისა და ურთიერთშეჯერების შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი ავტოსადგომის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი 3369.64 კვ.მ. არ მოიცავს გარე ავტოსადგომის ფართს და მისასვლელ გზას. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის მონაცემებით, რეგისტრირებულია N6985075 ბრძანებით შეთანხმებული პროექტი. მას შემდეგ პროექტში განხორციელებული ცვლილებები არ დარეგისტრირებულა.

3. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „ი“ ქვეპუნქტების საფუძველზე, მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, ვინაიდან განცხადებას თანდართული დოკუმენტი/

ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმითა და წესით, დაინტერესებული პირის განცხადება ან/და თანდართული დოკუმენტი ან ინფორმაცია არ იძლევა უძრავი ნივთის იდენტიფიკაციის საშუალებას ან არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.”

4. ამდენად, სახეზეა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაში შედის სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე. გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, №22; ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის წერილობითი ფორმით ჩაბარება შესაძლებელია სსიპ იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1), მის სტრუქტურულ ერთეულებსა და ტერიტორიულ ორგანოებში, ასევე, ფოსტისა და მოქალაქის პორტალის – my.gov.ge-ს მეშვეობით.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ::: მისამართი: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, N22 ::: www.napr.gov.ge










18.50
18.69
10.00
11.30
11.30
ლიფტების ბაღისპარი პიზე
ლიფტების ბაღისპარი პიზე
ჯამალგამწოვი ვენტილატორი
ჯამალგამწოვი ვენტილატორი
სახანძრო ჰიდრანტი
სახანძრო ჰიდრანტი
-0.150
414.05
10%
-0.600
7000
16%
14600
-2.950
10%
±0.000
-0.280
±0.000
-0.280
±0.000
-0.120
±0.000
-0.280
±0.000
-0.280
±0.000
-0.280
4000
7000
5600
5800
5600
6500
52000
2500
2500
2500